# განმარტებითი ბარათი

## საქართველოს კანონის პროექტზე

## „სამხედრო პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:**

**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:**

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს „სამხედრო პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს კონსტიტუციასთან. საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებიდან (№1324-რს 13.10.2017წ.) გამომდინარე, აუცილებელია ცვლილებები შევიდეს „სამხედრო პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში.

**ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:**

კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს, „სამხედრო პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს კონსტიტუციასთან.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებიდან (**№1324-რს 13.10.2017წ.**) გამომდინარე ტერმინი „სამხედრო ძალები“ შეიცვალა ტერმინით „თავდაცვის ძალები“. აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია „სამხედრო პოლიციის შესახებ“ საქართველოს **კ**ანონის სათანადო ნორმებში შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი საქართველოს კონსტიტუციასთან. პროექტის მიხედვით „სამხედრო პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის, მე-7 მუხლის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტების, მე-8 მუხლის „კ“ და „მ“ ქვეპუნქტების, მე-15 მუხლის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებში ტერმინი საქართველოს შეირაღებული ძალები შეიცვალა ტერმინით თავდაცვის ძალებით, ხოლო ტერმინი საქართველოს შეირაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ტერმინით - საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაური.

ამასთან პროექტი ითვალისწინებს საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვის, სამართალდარღვევებზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით, პოლიციისთვის ისეთი დამატებითი უფლებამოსილების მინიჭებას, როგორიცაა სამხრე ვიდეოკამერით შესაბამისი ინციდენტების დაფიქსირება. აღნიშნული ღონისძიება უზრუნველყოფს სამხედრო პოლიციის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებას. სამხრე ვიდეო-კამერის მეშვეობით ჩანაწერების შექმნის, შენახვისა და გამოყენების საკითხები, მათ შორის ღონისძიების ადრესატი პირისა და მოსამსახურის ინფორმირების წესი, დარეგულირდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში წლის განმავლობაში იგეგმება 10 ერთეული სამხრე ვიდეოკამერის შეძენა, რომელის საერთო ღირებულება შეადგენს დაახლოებით 5000 ლარს, რომლის დაფინანსება მოხდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის წლიური საბიუჯეტო კანონით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში და კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული დამატებითი ხარჯების გაღებას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გარკვეულ გავლენას მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, კერძოდ წლის განმავლობაში იგეგმება 10 ერთეული სამხრე ვიდეოკამერის შეძენა, რომელის საერთო ღირებულება შეადგენს დაახლოებით 5000 ლარს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ღონისძიების განხორციელება არ არის დაკაშვირებული სამხედრო პოლიციის დეპარტამენტისვის ახალი დამატებითი ფუნქციების მინიჭებასთან, შესაბამისად, ადამიანური რესურსის დამატების საჭიროებასთან. სამხრე ვიდეოკამერების ექსპლოატაციას განახორციელებენ სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის მოქმედი მოსამსახურეები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კომპეტენციის ფარგლებში საზოგადოებრივი წესრიგისა და დისციპლინის დაცვაზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელების შემოღებას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**ე) კანონპროექტის ავტორი: საქართველოს პარლამენტის წევრები: ირაკლი სესიაშვილი, კობა კობალაძე, კობა ნარჩემაშვილი, პაატა მხეიძე და გია ბენაშვილი.**

**ვ) კანონპროექტის ინიციატორი: საქართველოს პარლამენტის წევრები: ირაკლი სესიაშვილი, კობა კობალაძე, კობა ნარჩემაშვილი, პაატა მხეიძე და გია ბენაშვილი.**